პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 აგვისტო, კვირა, 1989 წ.
№ 166 (10 085) ▲ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



სპორტის ბუნება დღემდე სრულად ამოუხსნელი ფენომენია. შეიძლება სწორედ ამითაა იგი ასე მომხიბლავი.

IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშები კიდევ ერთი მკაცრი გამომცდელი იყო ქართული სპორტის წინსვლის გზაზე. ეს ჭამოცდა ჩვენმა სპორტსმენებმა მთლიანობაში კარგად ჩააბარეს, მაგრამ ჯერაც იმ ნაკლოვანებებს შევურიგდებით, რამაც ამ კომპლექსურ ღონისძიებებში სინანული მოგვიტანა. ახალი წარმატებებისკენ, ისევე როგორც ყველა საქმეში, სპორტშიც მამულიშვილობის ღრმა შეგნებით უნდა ვიაროთ. ეს კი მეტს მოითხოვს თითოეული ჩვენგანისგან, რესპუბლიკის ყველა რეგიონისგან.

1989

ის. 3-ე გვ.

## იქმნება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

# საინიციატივო ჯგუფის მეხუთე სხდომა

**დრო** და გაწეული საქმიანობა სულ უფრო ნათელს ხდის აზრს, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნისთვის დამფუძნებელი კონფერენციის ჩასატარებლად შეიძლება დაინიშნოს კონკრეტული თარიღი. მაგრამ საინიციატივო ჯგუფის ამ სხდომაზე გამოცხადდა, რომ მიღებულია შეტყობინება ვილნიუსიდან, სადაც 29–31 აგვისტოს ტარდება ეოკ-ებით დაინტერესებული რესპუბლიკების მეორე საკონსულტაციო შეხვედრა. საქართველოს წარმომადგენლები ჩავლენ ამ შეხვედრაზე, ამასთან ისარგებლებენ შემთხვევით და მიიღებენ რეკომენდაციებს მთელ რიგ საკითხებში, რომლებიც კონფერენციის დელეგაციების წარმომადგენლობას და კონფერენციის ჩატარების სხვა ორგანიზაციულ მხარეს შეეხება. ამის შემდეგ, ითქვა სხდომაზე, შეიძლება კონკრეტულად ვილაპარაკოთ ეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენციის თარიღის დანიშვნაზე.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საქართველოს ეოკ-ის ეგიდით სრულიად საქართველოს ერთიანი ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიების ჩატარების წინადადების განხილვამ. საგანგებოდ ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფმა წარმოადგინა პროგრამის პროექტი. ამ ღონისძიების ჩატარების თარიღიც მოგვიანებით გამოცხადდება.

ეოკ-თან თანამშრომლობის სურვილთან დაკავშირებით სხდომამ მოიწონა და მიიღო საქართველოს ექიმთა ასოციაციის და კოოპერატივ „ფანასკერტელის" წინადადება. ამავე სხდომაზე საქართველოს სპორტული ფედერაციების საბჭოს შექმნისა და უახლოესი ამოცანების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ამ საბჭოს თავმჯდომარე ი. ყიფიანი.

სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე, ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ჯგუფის წევრები ადრე მიღებულ დავალებებს.

• • •

**ეოკ-ის საინიციატივო ჯგუფის მორიგი სხდომა დანიშნულია ოთხშაბათს, 16 საათზე, თბილისის ჭადრაკის სასახლეში.**

# ქეთევან კახიანის ბრწყინვალე სტარტი

**კოლუმბიაში** დაიწყო 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობები. ბრწყინვალედ აიღო სტარტი თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა ქეთევან კახიანმა, რომელმაც ჯერჯერობით გათამაშებული ოთხივე პარტია მოიგო (მათ შორის შარშანდელ ჩემპიონთან, ყაზანელ ალისა გალიამოვასთან) და ერთპიროვნულად ლიდერობს შეჯიბრებას. მას ქულით ჩამორჩება გალიამოვა, ხოლო ქულანახევრით — მინსკელი ელენა ზაიაცი.

ჭაბუკთა ტურნირს 4-დან 4 ქულით პოლონელი იან გდანსკი ლიდერობს. ქელეზნოვოდსკელ ალექსეი დრეევს, სვერდლოვსკელ მიხეილ ულიბინსა და ტაშკენტელ გენადი სერპერს 3–3 ქულა აქვთ. რიგელმა ალექსეი შიროვმა 2,5 ქულა მოაგროვა.

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

წინადადება — წერილი რედაქციას!

# ქუთაისში გადავიტანოთ

**პატივცემულო** რედაქცია, რამდენადაც ვიცი გადაწყვეტილია, რომ გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატს შეეცვალოს როგორც სტატუსი, ისე ფუნქცია და ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სპორტსმენებს მიენიჭოთ საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტის კვალიფიკაცია ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში. შესანიშნავი გადაწყვეტილებაა. და ამას არ შეიძლება არ მივესალმოთ, მაგრამ მაფიქრებს ერთი გარემოება, რაც, ალბათ, არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე. კერძოდ, თბილისში გვაქვს ფიზკულტურის ტექნიკუმი, რომლის მატერიალურ-ტექნიკური და სპორტული ბაზა, სხვათა შორის, ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს. ბევრჯერ გამოითქვა კრიტიკა ჩვენი ქალაქის სასწავლებლებით გადატვირთვის თაობაზე. დღის წესრიგში დადგა დედაქალაქის განტვირთვა, ჩვენ კი...

წინადადებით შემოვდივარ თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმი გადატანილ იქნეს ქუთაისში. ეს ნაბიჯი, მრავალ სიკეთესთან ერთად, განსაკუთრებით იმით იქნება გამართლებული, რომ დასავლეთ საქართველოში შეიქმნება სპორტსმენთა და სპეციალისტთა მომზადების კერა. თვით ტექნიკუმიც მხრებს გაშლის.

ქუთაისი ქართული სპორტის „ადგილის დედად" ითვლება და, მოდით, მისი ავტორიტეტი სპეციალური სასწავლებლითაც ავამაღლოთ.

**ვახტანგ ბალავაძე,**
**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●

# გამარჯვება შესვენების შემდეგ

**ორდღიანი** შესვენების შემდეგ შვეციის ქალაქ შელეფტეოში განახლდა მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების უკანასკნელი, VI ეტაპი. გარი კასპაროვი ხვდებოდა შეჯიბრების ერთ-ერთ ლიდერს, უნგრელ დიდოსტატ ლაიოშ პორტიშს. მსოფლიო ჩემპიონმა კარგად წარმართა ეს პარტია და გაიმარჯვა. ახლა მას 9 შეხვედრიდან 6 ქულა აქვს და ნახევარ-ნახევარი ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს: ანატოლი კარპოვს, ვალერი სალოვს, ნაიჯელ შორტსა და იან ელვესტს. შემდეგ მოდიან ულფ ანდერსონი, ლაიოშ პორტიში, იასერ სეირავანი — 5–5, პრედრაგ ნიკოლიჩი, ზოლტან რიბლი, დიულა საქსი, მიხეილ ტალი, რობერტ ჰიუბნერი — 4–4, რაფაელ ვაჰანიანი, ვიქტორ კორჩნოი, ჯონ ნანი — 3–3.

აი, როგორ დამთავრდა IX ტურის სხვა შეხვედრები: რიბლი — კარპოვი 0,5:0,5, ელვესტი — ანდერსონი 0,5:0,5, სალოვი — ტალი 0,5:0,5, ნანი — საქსი 0:1, ვაჰანიანი — შორტი 0:1, სეირავანი — ჰიუბნერი 1:0, ნიკოლიჩი — კორჩნოი 1:0.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

I ლიგა

**გუშინ** ბათუმში გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „დინამომ" მიიღო სიმფეროპოლის „ტავრია".

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** განახლდა სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის გათამაშება, გაიმართა XXI ტურის შეხვედრები.

თბილისის დინამოელებმა შინ მიიღეს დუშანბეს „პამირი".

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები:

„ლოკომოტივი" — „ტორპედო" 2:0

„დინამო" კ. — „როტორი" 2:0

„დინამო" მნ — „ზენიტი" 1:1

„შახტიორი" — „დინამო" მ. 1:0

„არარატი" — „ჩერნომორეცი" ჟ3:1

დღეს შედგება გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა. მოსკოვის „სპარტაკი" მიიღებს „დნეპრს".

# დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის სათადარიგო შემადგენლობათა მატჩში, ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო" და დუშანბეს „პამირი".

გაიმარჯვეს დინამოელებმა — 5:0. ხუთივე ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანეს: კერძევაძემ — 3, ნეფარიძემ და ტულუშმა.

ʘʘʘʘʘʘʘʘʘʘ★★★★★★★★★★ʘʘʘʘʘʘʘʘʘʘʘ★★★★★★★★★★★ʘʘʘʘʘʘʘʘʘʘʘ

## გამოხმაურება დაინვალიდებული სპორტსმენის გიორგი რთველიაშვილის წერილზე გაზეთ „ლელოს" რედაქციისადმი

# თანდათან ივიწყებდნენ...

**როგორც** ვიუწყებოდით, გ. რთველიაშვილის ბედმა, ბევრი დააინტერესა. გუშინწინ სოფელ ძეგვში, სადაც ლოგინზეა მიჯაჭვული ახალგაზრდა სპორტსმენი, ჩავიდნენ თბილისის სპორტკომიტეტის მუშაკები. კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვ. კანკავამ გუშინ რედაქციაში ასეთი ოფიციალური ცნობა მოგვაწოდა: „გ. რთველიაშვილმა 1987 წლის 24 მაისს ტრავმა მიიღო თურმე ჯერ კიდევ შინაგან ჯარებში სამსახურის დროს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დემობილიზაციის საბუთები რთველიაშვილს გაუფორმეს 1987 წლის 17 მაისიდან. აღნიშნული ფაქტი აღმაშფოთებელია, რაც საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

გ. რთველიაშვილმა გვიამბო, რომ 14 თვეა უყურადღებოდაა მიტოვებული. მისი მწვრთნელი კ. ნინიაშვილი ბოლოს, მხოლოდ ერთი წლის წინათ ყოფილა ავადმყოფთან. თავიდანვე ასევე უყურადღებოდ მიატოვა განსაცდელში ჩავარდნილი სპორტსმენი მისი სპორტული საზოგადოების ყოფილმა ხელმძღვანელობამ.

თბილისის სპორტკომიტეტმა ივალდებულა გ. რთველიაშვილი გადმოიყვანოს თბილისში სამკურნალოდ. ეს საკითხი უკვე შეთანხმებულია ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოსთან".

•••

რედაქციაში გვირეკავენ გ. რთველიაშვილის მდგომარეობით შეწუხებული ადამიანები. ისინი გვთხოვენ გაზეთის მეშვეობით ერთხელ კიდევ გამოვაქვეყნოთ ავადმყოფის მისამართი. გაცნობებთ, რომ იგი იმყოფება თავის ბინაზე, კასპის რაიონის სოფელ ძეგვში.

# გულთან მივიტანეთ...

გულთან ახლოს მივიტანეთ და კოოპერატივის გამგეობის სხდომაზე ოპერატიულად განვიხილეთ თქვენს გაზეთში 24 აგვისტოს გამოქვეყნებული წერილი, რომლის ავტორია ყოფილი სპორტსმენი, ამჟამად ინვალიდი გიორგი რთველიაშვილი. წერილში ის ამაღელვებლად ლაპარაკობს თავის უბედობაზე. უდავოა, განსაცდელში ჩავარდნილ ჩვენს თანამემამულეს და კოლეგას დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს ყველამ, ვისაც ამის სურვილი და საშუალება აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ფინანსური საშუალებები ჯერჯერობით ჩვენს კოოპერატივს არ გააჩნია, გადავწყვიტეთ უახლოეს დღეებში ბინაზე ვეწვიოთ ავადმყოფს და ჩვენი მხრიდან მას 500 მანეთი და სპორტული ფორმა გადავცეთ.

**ლევან ჟურაშვილი,**
ფიზკულტურისა და სპორტის მომსახურების კოოპერატივი „სიმხნევე-88"-ის გამგეობის თავმჯდომარე.

# წინსვლა მხოლოდ საერთო ძ

1989

# ნაბიჯი წინ...

## საქართველოს სპორტსმენები IV საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზე

**მიმდინარე წლის ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო სტარტი, უდავოდ IV საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები იყო, მისი შედეგები, როგორც ცნობილია, ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების შედეგებთან ერთად შედის საბჭოთა კავშირის ხალხთა 1991 წლის სპარტაკიადის ჩათვლაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ანიჭებს განვლილ პაექრობას. ასე დაიწყო ჩვენი საუბარი საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ვახტანგ მახარაძესთან.**

— ცნობილია, რომ პირველ ოთხ სპარტაკიადაზე, დაწყებული 1956 წლიდან, საქართველოს სპორტული დელეგაცია, როგორც წესი, მეხუთე ადგილზე გამოდიოდა, მაგრამ მეხუთე სპარტაკიადიდან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა საერთო გუნდური შედეგები თანდათანობით უარესდებოდა და 1983 წლის სპარტაკიადაზე X ადგილზე გავედით. მხოლოდ ბოლო, 1986 წლის IX სპარტაკიადაზე შევძელით მდგომარეობის გამოსწორება — ისევე, როგორც 1975 წელს, VII ადგილზე აღმოვჩნდით. ცხადია, ეს მაჩვენებელიც ვერ აკმაყოფილებს ისეთი დიდი სპორტული ტრადიციების მქონე რესპუბლიკას, როგორიც საქართველოა. რა გასაკვირია, რომ უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში ჩვენ სპორტშიც უნდა გადავხედოთ საკუთარ პოზიციებს და ვეცადოთ ძლიერი მეტოქეების გარემოცვაში, რაც შეიძლება უკეთეს შედეგებს მივაღწიოთ კომპლექსური ჩათვლა იქნება ეს, თუ ინდივიდუალური პაექრობა. ამიტომაც იყო, რომ მივიღეთ თუ არა ახალგაზრდული IV საკავშირო თამაშების დებულება და პროგრამა, მთელი სერიოზულობით და მონდომებით შევუდექით მზადებას.

● **კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა იგი?**

— დამთავრდა თუ არა 1988 წლის აგვისტოში ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშები, მზადებამ, ასე ვთქვათ, კონკრეტული, უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ოთარ ქვილითაიას ხელმძღვანელობით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა მიზანმიმართულად და ნაყოფიერად იმუშავა. იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს ნაკრები გუნდების მზადებას, ოპერატიულად წყვეტდა ყველა საკითხს. ერთი სიტყვით, არავითარი გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობდა, მათ შორის მატერიალურიც, რაც დაგვეთანხმებით, არც ისე უმნიშვნელოა.

● **მაგრამ გარდა მინისტრთა საბჭოს მიერ ამ ოპერატიული ხელმძღვანელობისა, როგორც ვიცით, შექმნილი იყო საკავშირო თამაშებისადმი მზადებისა და მონაწილეობის ოპერატიული შტაბიც, რომელსაც სათავეში თქვენ ჩაუდექით. კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა მისი ფუნქციები?**

— შტაბი რესპუბლიკის სპორტსახკომთან შეიქმნა, მისი წევრები სისტემატურად გულდასმით ვიხილავდით მზადებას თამაშებისათვის სპორტის სახეობების მიხედვით, ადგილზე ვამოწმებდით შეკრებაზე მყოფ გუნდებს — თბილისში იყო ეს, ლესელიძეში, ბათუმში, ფოთში, გალში, ბორჯომში თუ ბაკურიანში. გარდა ამისა, ყურადღებით ვადევნებდით თვალს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მყოფ ჩვენი სპორტსმენების მზადებასაც. ცხადია, ყურადღებას არ ვაკლებდით არა მარტო სპორტულ მხარეს, არამედ საყოფაცხოვრებო საკითხებსაც, მათ შორის კვებას, დასვენებას. შტაბის წევრები კონკრეტულად ზრუნავდნენ გუნდების უკეთ მომზადების, მათი მოთხოვნების შესასრულებლად საკითხების მოგვარებაზე. ჩვენ მზადების ყველა ნიუანსი ვიცოდით და მომავალ ბატალიათა პროგნოზირება საკმაოდ ზუსტად გვესახებოდა. როგორც ხედავთ, არ შევცდით. თავად განსაჯეთ: პროგნოზით 56 მედალი დავგეგმეთ (11 ოქროს, 14 ვერცხლის და 31 ბრინჯაოსი). რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების პროცესში აქტიური და დაინტერესებული მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროფსაბჭომ, რესპუბლიკის ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სახალხო განათლების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის, საავტომობილო გზებისა და ტრანსპორტის სამინისტროებმა, საქაგრომრეწვმა, მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა, თბილისის, ქუთაისის, ბორჯომის, ვანის, ონისა და სხვა რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

● **ახლა, ალბათ, საჭიროა ციფრების ენა მოვიშველიოთ: რამდენ სახეობაში მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკამ, რა ნადავლით ჩამოვიდნენ ჩვენი გუნდები თბილისში დონეცკიდან და უკრაინის სხვა ქალაქებიდან?**

— თამაშებზე სრული პროგრამით გამოვედით 37-ვე სპორტის სახეობაში, ამასთან 43 გუნდით ვიასპარეზეთ. მოგეხსენებათ, რიგ სახეობებში ორ-ორი გუნდი გამოდის — ვაჟთა და ქალთა. სულ 61 მედალი მოვიპოვეთ, აქედან 19 ოქროს, 18 ვერცხლის და 24 ბრინჯაოსი, რამაც VI საერთო გუნდური ადგილი მოგვიტანა. ამასთან, V ადგილზე გასულ ლენინგრადელებს სულ რაღაც ოთხი მედლით ჩამოვრჩით. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ურიგო შედეგი არაა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წინა თამაშებზე, რომელიც 31 სახეობაში ტარდებოდა, 1982 წელს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა სულ 18 მედალი მოიპოვეს — 6 ოქროს, 4 ვერცხლის, 8 ბრინჯაოსი, როგორც ხედავთ, ამჯერად 43 მედლით მეტი... ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ ახლა 23 სახეობაში მოვიპოვეთ მედლები (ადრე ასეთი 9 სახეობა იყო). მიუხედავად ამისა, ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის გამოსვლას IV საკავშირო თამაშებში მხოლოდ დამაკმაყოფილებლად ვაფასებთ, ამასთან, ვთვლით, რომ მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

● **რომელმა რეგიონებმა და სპორტსაზოგადოებებმა გამოიჩინეს თავი, ვინ არის ჩამორჩენილთა შორის?**

— ყველაზე მეტი მედალი, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელებმა მოიპოვეს (55), შემდეგ მოდის ქუთაისი (4), აფხაზეთი (3), ფოთი (3), აჭარა (2), ქარელი (2) და ასე შემდეგ. საგრძნობი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის სპორტული კოლექტივების გამოსვლაში პროფკავშირების სპორტსაზოგადოებებმა, „დინამომ", „შრომითმა რეზერვებმა", არმიის სპორტულმა კლუბმა. სამწუხაროდ, ვერც ერთი სპორტსმენი ვერ მოამზადეს ნაკრები გუნდებისათვის ტყიბულის, მარნეულის, აბაშის, ადიგენის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, მარტვილის, თერჯოლის, დუშეთის, წითელწყაროს, წალენჯიხისა და სხვა რეგიონების ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა. აფხაზეთის სპორტსმენთა წარმომადგენლობამ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში მესამე თამაშებთან შედარებით 18 კაცით იკლო, აჭარისამ — თოთხმეტით, სამხრეთ ოსეთი კი IV თამაშებზე მხოლოდ 2 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი (!). რა გასაკვირია, რომ ასევე უმნიშვნელოა მათი წვლილი საპრიზო ადგილების მოპოვებაში.

● **რომელ სახეობებს გამოჰყოფდით... მოწინავეთა და ჩამორჩენილთა მხრივ?**

— თამაშებზე კარგად იასპარეზეს ჩვენმა ძიუდოისტმა ვაჟებმა, მოჭადრაკე გოგონებმა, სინქრონული ცურვის ოსტატებმა ხრისტინა ფალასინიდის მეთაურობით, ბატუტზე მხტომელებმა, ჩოგბურთელებმა, რომლებსაც ტონს აძლევდა ლეილა მესხი, აგრეთვე აკრობატებმა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, მშვილდოსნებმა. ვერ დავემდურებით კლასიკური სტილის მოჭიდავეებს, კეტბურთელებს, წყალსათხილამურო სპორტის წარმომადგენლებს, სამბისტებს, წყალში მხტომელებს, ველომრბოლელებს (საგზატკეცილო და ტრეკი), სპორტულ ტანმოვარჯიშეებს. ამასთან, ჩვენმა 12 გუნდმა წინა თამაშებთან შედარებით გააუარესა შედეგი, სპორტის 20 სახეობაში კი საერთოდ ვერ მოვიპოვეთ ვერც ერთი მედალი. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ ჩვენი მძლეოსნები, მოცურავეები, წყალბურთელები, ნიჩბოსნები, ფრენბურთელები, ცხენოსნები, ხელბურთელები, ბალახის ჰოკეისტები. განსაკაუთრებით დიდ შეშფოთებას იწვევს გახანგრძლივებული კრიზისი ისეთ სტრატეგიულ სახეობებში, როგორიცაა ცურვა, მძლეოსნობა, ნიჩბოსნობა. შექმნილი მდგომარეობა ამ სახეობებში მეტად დამაფიქრებელია, რამეთუ ამ მხრივ არასახარბიელო პერსპექტივა გვესახება ხალხთა სპარტაკიადაზე.

● **სპორტის ჩამორჩენილ სახეობებზე საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ უკვე იმსჯელა, გაიმართა მკაცრი, პრინციპული მსჯელობა. უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველივე ამის გათვალისწინებით შეუდგებიან მზადებას 1991 წლის სსრ კავშირის ხალხთა X სპარტაკიადისათვის ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები.**

— ცხადია, X სპარტაკიადა, ახლა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. სექტემბრის პირველ რიცხვებში გაიმართება რესპუბლიკის სპორტსახკომის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც ღრმად გაანალიზდება ნაკრები გუნდების გამოსვლის შედეგები IV საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში, დავსახავთ კონკრეტულ ამოცანებს. გვინდა ვიფიქროთ, რომ, მიუხედავად მრავალი ხელშემშლელი მიზეზებისა, საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები, სპორტსაზოგადოებები, სპეციალისტები, მწვრთნელები, სპორტსმენები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა ნაყოფიერად მოვემზადოთ 1991 წლის ხალხთა სპარტაკიადისათვის და 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით მონაწილეობისათვის.

**ესაუბრებოდა ოთარ ნოზაძე.**

IV საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზე საქართველოს დელეგაციამ, როგორც ცნობილია, 19 ოქროს, 18 ვერცხლისა და 24 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ანუ სულ 61 ჯილდო დაიმსახურა. აი, ვინ გამოიჩინა თავი ამ სპორტულ ფორუმზე (შეგახსენებთ, რომ III თამაშებში, რომელიც 1982 წელს ჩატარდა, საქართველოს დელეგაციას ჰქონდა 6 ოქროს, 4 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი):

**ოქროს მედლები**

1. **ნინო სალუქვაძე.** ტყვიის სროლა. მპ-5 ვარჯიში. საბჭოთა არმია, თბილისი. 7 ქულა.
2. **ნინო სალუქვაძე** ტყვიის სროლა. პპ-2 ვარჯიში. საბჭოთა არმია, თბილისი. 7 ქულა.
3. **ხრისტინა ფალასინიდი.** სინქრონული ცურვა. სოლო. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი. 7 ქულა.
4. **ხრისტინა ფალასინიდი, ნინო მაისურაძე.** სინქრონული ცურვა. დუეტი. ორივე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება. თბილისი. 3,5-3,5 ქულა თითოეულს.
5. **ამირან ტოტიკაშვილი.** ძიუდო. 60 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, გარდაბანი, თბილისი. 7 ქულა.
6. **ვლადიმერ დგებუაძე.** ძიუდო. 71 კგ. „დინამო", სოხუმი. 7 ქულა.
7. **დავით ბაგაური.** ძიუდო. 86 კგ. „დინამო", ახმეტა. 7 ქულა.
8. **დავით ხახალეიშვილი.** ძიუდო. +95 კგ. „დინამო", ქუთაისი. 7 ქულა.
9. **ვალერი პარუნაშვილი.** ძიუდო. აბსოლუტური კატეგორია. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი. 7 ქულა.
10. **ზურაბ ქარჩაიძე.** სამბო. 90 კგ. საბჭოთა არმია, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი, 7 ქულა.
11. **მურთაზ თურქია.** სამბო. 57 კგ. „დინამო", ფოთი. 7 ქულა.
12. **გიორგი ხინჩიკაშვილი.** თავისუფალი ჭიდაობა. 68 კგ. პრო

სპო

**სახეობა**

1. აკრობატიკა
2. კრივი
3. თავ. ჭიდაობა
4. კლ. ჭიდაობა
5. სამბო
6. ველოტრეკი
7. ველო გზატკ.
8. წყალთხილ.
9. ტანვარჯიში
10. ძიუდო
11. მძლეოსნობა
12. აფროსნობა
13. სინქ. ცურვა
14. წყ. ხტომა
15. ბატუტი
16. თ. ხუთჭიდი
17. მშვილდ.
18. ტყვიის სრ.
19. ჩოგბურთი
20. ძალოსნობა
21. ფარიკაობა
22. ფეხბურთი
23. ჭადრაკი

**შენიშვნა.** გრაფა გ. ნიშნა... გუნდურ შედეგებს, პ. კი პირად... ფრჩხილებში აღნიშნულია სპორ... ტსმენთა რაოდენობა. ქულები გ... მოყვანილია ოლიმპიური პრინცი... ით: პირველი ადგილი იძლევა ...



თამაშების ჩემპიონები — საქა... უდოისტთა ნაკრები გუნდები.

# ვინ, როგორ გამოიჩინა თავი

**როგორც** პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში IV თამაშებზე ყველაზე დიდ წარმატებას ჩვენმა ძიუდოისტებმა მიაღწიეს. რომ არაფერი ვთქვათ პირად ასპარეზობაში მოპოვებულ მედლებზე, მათ გუნდური გამარჯვებაც დიდი უპირატესობით მოიპოვეს. გუნდურ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს მოჭადრაკე ქალებმაც. თუმცა... უმჯობესია, გავიხსენოთ ჩვენი სპორტსმენების გუნდური მაჩვენებლები პროგრამაში შემავალ ყველა სახეობაში. მაშ ასე.

**I ადგილი.** ძიუდო, ჭადრაკი (ქალები).

**II ადგილი.** სინქრონული ცურვა, ბატუტზე ხტომა, ძიუდო (II გუნდი).

**III ადგილი.** აკრობატიკა, თავისუფალი ჭიდაობა, მშვილდოსნობა, ჩოგბურთი, ფეხბურთი.

**IV ადგილი.** კეტბურთი, კლასიკური სტილით ჭიდაობა, წყალთხილამურეები.

**V ადგილი.** კალათბურთი (ვაჟები), სამბო, წყალში ხტომა.

**VI ადგილი.** საგზატკეცილო ველოსპორტი, სპორტული ტანვარჯიში.

**VII ადგილი.** ჭადრაკი (ვაჟები). სინქრონული ცურვა, (II გუნდი).

**VIII ადგილი.** ბადმინტონი, კალათბურთი (ქალები), ხელბურთი (ვაჟები).

**IX ადგილი.** წყალბურთი, აფროსნობა.

**X ადგილი.** ტყვიის სროლა, ბალახის ჰოკეი (ვაჟები), თანამედროვე ხუთჭიდი, ფარიკაობა.

**XI ადგილი.** მაგიდის ჩოგბურთი, სასტენდო სროლა.

**XII ადგილი.** სატრეკო ველოსპორტი, ფრენბურთი (ქალები), ბალახის ჰოკეი (ქალები), ხელბურთი (ქალები), მხატვრული ტანვარჯიში, კრივი.

**XIII ადგილი.** ცურვა, ძალოსნობა, ცხენოსნობა.

**XIV ადგილი.** ფრენბურთი. (ვაჟები).

**XV ადგილი.** აკადემიური ნიჩბოსნობა.

**XVII ადგილი.** თავისუფალი ჭიდაობა (II გუნდი).

**XVIII ადგილი.** საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე.

**XIX ადგილი.** აკრობატიკა. (II გუნდი).

**XX ადგილი.** ძიუდო (ქალები).

**XXI ადგილი.** მძლეოსნობა.

პროგრამის ოთხ სახეობაში დამოუკიდებლად ასპარეზობდა თბილისის გუნდი, რომელმაც ძიუდოისტთა ტურნირში II საპრიზო ადგილი დაიკავა, სინქრონულ ცურვაში — VII, თავისუფალ ჭიდაობაში — XVII და აკრობატიკაში — XIX.

საინტერესოა III და IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშების შედეგთა შეჯამება ამ კუთხით.

| | 1982 წ. | 1989 წ. |
|---|---|---|
| I ადგილი | — | 2 |
| II ადგილი | — | 2 |
| III ადგილი | 1 | 5 |
| IV ადგილი | 2 | 3 |
| V ადგილი | 4 | 3 |
| VI ადგილი | 1 | 2 |
| VII ადგილი | 3 | 1 |
| VIII ადგილი | 3 | 5 |
| IX ადგილი | 3 | 5 |
| X ადგილი | 4 | 4 |
| XI ადგილი | 3 | 1 |
| XII ადგილი | 3 | 6 |
| XIII ადგილი | 2 | 1 |
| XIV ადგილი | 1 | 1 |
| XV ადგილი | 2 | 1 |
| XVI ადგილი | 3 | 1 |

**შენიშვნა.** ამ ცხრილში 1989 წლის თამაშების შედეგები რესპუბლიკებს შორის შეჯიბრების მიხედვითაა მოყვანილი, ზედა მასალაში კი საერთო ადგილების გათვალისწინებით (რესპუბლიკებს გარდა IV თამაშებში ქალაქებიც ასპარეზობდნენ), ამიტომ ზოგი მაჩვენებელი შესაძლოა არ დაემთხვას ერთმანეთს.

# ...ლისხმევით, ერთიანობით...

ეროვნული ბიბლიოთეკა 1989

## თამაშების პრიზიორები

...კავშირთა სპორტსაზოგადოება, გორი, თბილისი (ასკ). 7 ქულა.

13. **...აკი ჩაჩუა.** კლასიკური ჭიდაობა. 62 კგ. საბჭოთა არმია, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, სამტრედია, თბილისი. 7 ქულა.

14. **სოფიკო მანაგაძე.** სპორტული ტანვარჯიში. ბჯენითი ხტომები. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ქუთაისი, თბილისი. 7 ქულა.

15. **ვასილ ბუდუროვი.** წყალთხილამურები. ტრამპლინი. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ფოთი, თბილისი. 7 ქულა.

16. **ხათუნა კორკელია.** წყალთხილამურები. ტრამპლინი. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება. ფოთი, თბილისი. 7 ქულა.

17. **ქეთევან არახამია, ქეთევან კახიანი** (ორივე — „დინამო", თბილისი), **ნათია ჯანჯღავა** (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი) ჭადრაკი, გუნდური. 2,33-2,33 ქულა.

18. **ნატო ნასარიძე, სულიკო თოფურია, ხათუნა ქვრივიშვილი, ლანა ვერულავა** (ოთხივე — „შრომითი რეზერვები", თბილისი), მშვილდოსნობა, გუნდური. 1,75-1,75 ქულა.

19. **ვილი ვართანოვი, აფონია იანკოვი, იოსებ თუთბერიძე, სტანისლავ პეტროვი.** აკრობატიკა. ჯგუფური ვარჯიში (ყველა — საბჭოთა არმია, „შრომითი რეზერვები", თბილისი). 1,75-1,75 ქულა.

### ვერცხლის მედლები

1. **ზურაბ ონიანი.** ძიუდო. 71 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი. 5 ქულა.

2. **თამაზ სააკაშვილი.** ძიუდო. 86 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი. 5 ქულა.

3. **ზაზა დაბრუნდაშვილი.** ძიუდო. +95 კგ. ქარელი, თბილისი (ასკ). 5 ქულა.

4. **ბელა პაპაშვილი.** კლასიკური ჭიდაობა. 48 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი. 5 ქულა.

5. **გოგი კოლუაშვილი.** კლასიკური ჭიდაობა. 90 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, წყალტუბო, თბილისი, ქუთაისი, 5 ქულა.

6. **მერაბ ვალიევი.** თავისუფალი ჭიდაობა. 130 კგ. „შრომითი რეზერვები", თბილისი. 5 ქულა.

7. **გოჩა ბექაშვილი.** სატრეკო ველოსპორტი. გიტი 1000 მ. „დინამო", ლაგოდეხი, თბილისი 5 ქულა.

8. **სტელა პრიახინა.** საგზატკეცილო ველოსპორტი. ჯგუფური რბოლა 62,5 კმ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ქობულეთი, თბილისი. 5 ქულა.

9. **ირმა ოვოიანი, რომა კუხალეიშვილი.** აკრობატიკა. შერეული წყვილი. ორივე — „შრომითი რეზერვები", თბილისი. 2,5-2,5 ქულა.

10. **კარინე ბალდასაროვა.** აფროსნობა. „ვინგლაიდერის" კლასი. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ბათუმი. 5 ქულა.

11. **ანა როსტიაშვილი.** წყალში ხტომა. კოშკი. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ბათუმი, თბილისი. 5 ქულა.

12. **ანა დოლონაძე.** ბატუტზე ხტომა. ინდივიდუალური ხტომები. „შრომითი რეზერვები", მცხეთა, თბილისი. 5 ქულა.

13. **რევაზ ლოხიშვილი.** თანამედროვე ხუთჭიდი. პირადი შეჯიბრება. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი 5 ქულა.

14. **ხათუნა ქვრივიშვილი.** მშვილდოსნობა. პირადი შეჯიბრება. „შრომითი რეზერვები", თბილისი. 5 ქულა.

15. **კახაბერ კახიაშვილი.** ძალოსნობა. 90 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ცხინვალი, თბილისი. 5 ქულა.

16. **კობა ტალახაძე.** ძალოსნობა. +110 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება. საჩხერე, თბილისი. 5 ქულა.

17. **ალექსი კუჭუხიძე.** ტყვიის სროლა. მპ-5 ვარჯიში, გუნდური. „დინამო", სოხუმი, თბილისი. **ანდრეი დოლგარიოვი.** საბჭოთა არმია, თბილისი, **გიორგი ამაშუკელი.** „დინამო", თბილისი. 1,67-1,67 ქულა.

18. **არჩილ ლორთქიფანიძე, კახაბერ მახარაძე, ზურაბ იოსებიძე.** ფარიკაობა, ხმალი, გუნდური (სამივე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი), **ბექა ქლენტი,** პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ზესტაფონი, თბილისი. **დავით ფეიქრიშვილი.** პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი, ფარიკაობა, ხმალი, გუნდური. 1-1 ქულა.

### ბრინჯაოს მედლები

1. **კახაბერ ქურასბედიანი.** ძიუდო. 60 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი. 4 ქულა.

2. **ბესიკ ქოქოევი.** ძიუდო. 78 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ქარელი, თბილისი. 4 ქულა.

3. **ვეფხია კაპანაძე.** ძიუდო. 95 კგ. „დინამო", ხაშური. 4 ქულა.

4. **ჯონდო დაბრუნდაშვილი.** ძიუდო. აბსოლუტური კატეგორია. „შრომითი რეზერვები", თბილისი. 4 ქულა.

5. **გოჩა მაკოევი.** თავისუფალი ჭიდაობა. 62 კგ. „შრომითი რეზერვები", თბილისი, 4 ქულა.

6. **აკაკი ჩხაიძე.** თავისუფალი ჭიდაობა. 90 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ქუთაისი, თბილისი. 4 ქულა.

7. **გიორგი ჯანელიძე.** თავისუფალი ჭიდაობა. 130 კგ, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ქუთაისი, თბილისი. 4 ქულა.

8. **დამირ კირცხალია.** კლასიკური ჭიდაობა. 57 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, სენაკი, თბილისი, 4 ქულა.

9. **უშანგ კაგულოვი.** კლასიკური ჭიდაობა. 100კგ. „შრომითი რეზერვები", თბილისი. 4 ქულა.

10. **გევორგ კაპსიუზიანი.** კრივი. 60 კგ. „შრომითი რეზერვები", თბილისი. 4 ქულა.

11. **ჯამბულატ უუფარაძე.** კრივი. 75 კგ. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი. 4 ქულა.

12. **სოფიო მანაგაძე.** სპორტული ტანვარჯიში. თავისუფალი ვარჯიში. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ქუთაისი, თბილისი. 4 ქულა.

13. **თამარ ბეროზაშვილი, თინათინ ვარდიძე.** აკრობატიკა. წყვილთა ვარჯიში (ორივე — „შრომითი რეზერვები", თბილისი). 2-2 ქულა.

14. **თამილა მორბედაძე, მანანა მორბედაძე, ნანა პატარიძე.** აკრობატიკა. ჯგუფური ვარჯიში (ყველა — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი). 1,33-1,33 ქულა.

15. **იოსებ შავერდაშვილი.** მძლეოსნობა. უროს ტყორცნა. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, გარდაბანი, თბილისი. 4 ქულა.

16. **გოჩა გახარია.** წყალში ხტომა. კოშკი. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი, 4 ქულა.

17 **მიხეილ პელივანიდისი,** ბატუტი. ინდივიდუალური ხტომები. „შრომითი რეზერვები", თბილისი. 4 ქულა.

18. **სულიკო თოფურია.** მშვილდოსნობა. პირადი პირველობა. „შრომითი რეზერვები", თბილისი. 4 ქულა.

19. **ალექსი კუჭუხიძე.** ტყვიის სროლა. მპ-5 ვარჯიში. „დინამო", სოხუმი. 4 ქულა.

20. **ალექსი კუჭუხიძე.** („დინამო", სოხუმი), **ანდრეი დოლგარიოვი** (საბჭოთა არმია, თბილისი), **გიორგი ამაშუკელი** („დინამო", თბილისი), ტყვიის სროლა. მპ-8 ვარჯიში. გუნდური. 1,33-1,33 ქულა.

21. **ოლეგ ჩერნიშოვი.** ფარიკაობა. რაპირა. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი. 4 ქულა.

22. **ეკატერინე ასათიანი, ტატიანა ბუტიაკულოვა, ნინო ლომოური, ნინო მაისურაძე, მაია მელაძე, ირინა ტარუაშვილი, ხრისტინა ფალასინიდი** (ყველა — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი), **ელისო მარგველაშვილი, მანანა ჩანქსელიანი** (ორივე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ქუთაისი, თბილისი. სინქრონული ცურვა, ჯგუფური. 0.44-0,44 ქულა.

23. **ლეილა მესხი, რუსუდან მძინარიშვილი, ალექსანდრე სიმონიანი, დიმიტრი ტერტერიანი, ანატოლი ახალაძე** (ყველა — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი), **ეკა გოკუჩავა, ვერიკო თუხარელი, დავით კაჭარავა, ვლადიმერ გაბრიჩიძე, ლია ტამიროვა** (ყველა — „დინამო", თბილისი). ჩოგბურთი, გუნდური. 0,4-0,4.

24. **ფეხბურთი. გურამ ლორთქიფანიძე, მიხეილ ჩუბინიძე, კახაბერ წიკლაური, კონსტანტინე მელქაძე** (ყველა — განათლება — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი), **მამუკა მელიქაური, დავით ნეფარიძე, გიორგი ჭულიაშვილი, ირაკლი გოგაძე** (ყველა — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი), **მამუკა მაჭავარიანი, გიორგი ნემსაძე, როინ კერძევაძე, ალექსანდრე გელაძე, ლევან ციფიანი, თეიმურაზ ციფიანი, აკაკი დევაძე, გოჩა ჯამარაული** (ყველა — „დინამო", თბილისი), **ზურაბ ხორგუაშვილი** (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, გორი) — 0,23-0,24 თითოეულს.

### სახეობები და მედლები

| | | ვერცხლი | | ბრინჯაო | | სულ | | ქულები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ. | პ. | გ. | პ. | გ. | პ. | გ. | პ. | |
| 1 (4) | — | 1 (2) | — | 2 (5) | — | 4 (11) | — | 20 |
| — | — | — | — | — | 2 | — | 2 | 8 |
| — | 1 | — | 1 | — | 3 | — | 5 | 24 |
| — | 1 | — | 2 | — | 2 | — | 5 | 25 |
| — | 2 | — | — | — | — | — | 2 | 14 |
| — | — | — | 1 | — | — | — | 1 | 5 |
| — | — | — | 1 | — | — | — | 1 | 5 |
| — | 2 | — | — | — | — | — | 2 | 14 |
| — | 1 | — | — | — | 1 | — | 2 | 11 |
| — | 5 | — | 3 | — | 4 | — | 12 | 66 |
| — | — | — | — | — | 1 | — | 1 | 4 |
| 1 (2) | 1 | — | — | 1 (9) | — | 2 (11) | 1 | 18 |
| 1 (2) | 1 | — | — | 1 (9) | — | 2 (11) | 1 | 18 |
| — | — | — | 1 | — | 1 | — | 2 | 9 |
| — | — | — | 1 | — | 1 | — | 2 | 9 |
| — | — | — | 1 | — | — | — | 1 | 5 |
| 1 (4) | — | — | 1 | — | 1 | 1 (4) | 2 | 16 |
| — | 2 | 1 (3) | — | 1 (3) | 1 | 2 (6) | 3 | 27 |
| — | — | — | — | 1 (10) | — | 1 (10) | — | 4 |
| — | — | — | 2 | — | — | — | 2 | 10 |
| — | — | 1 (5) | — | — | 1 | 1 (5) | 1 | 9 |
| — | — | — | — | 1 (17) | — | 1 (17) | — | 4 |
| 1 (3) | — | — | — | — | — | 1 (3) | — | 7 |

...ულას, მეორე — 5 ქულას და ა. შ. ...ტყვიის მსროლელებმა, მაგალითად, ორი პირადი ოქროს მედალი მიიღეს (14 ქულა), ერთი ვერცხლისა — გუნდურში, რომელ... სამი სპორტსმენი მონაწილეობდა (5 ქულა), ერთი ბრინჯაოსი — დგუნდურში და ერთიც — პირადში (8 ქულა). ჯამში ტყვიის მსროლელებს დაუგროვდათ 27. ამ პრინციპითაა დაანგარიშებული ქულები სხვა სახეობებშიც.

## საბოლოო ცხრილი

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთის ფედერ. | 101 | 81 | 73 | 255 |
| 2. უკრაინა | 83 | 64 | 74 | 221 |
| 3. ბელორ. | 38 | 54 | 47 | 139 |
| 4. მოსკოვი | 30 | 30 | 42 | 102 |
| 5. ლენინგ. | 18 | 22,5 | 25 | 65,5 |
| 6. საქართვ. | 19 | 18 | 24 | 61 |
| 7. ყაზახეთი | 11 | 11 | 20 | 42 |
| 8. უზბეკ. | 10 | 7 | 17 | 34 |
| 9. ლიტვა | 4 | 10 | 15 | 29 |
| 10. სომხეთი | 11 | 9,5 | 8 | 28,5 |
| 11. მოლდავ. | 5 | 12 | 6 | 23 |
| 12 ტაჯიკეთი | 7 | 4 | 7 | 18 |
| 13. აზერბ. | 3 | 8 | 6 | 17 |
| 14. ესტონეთი | 5 | 8 | 3 | 16 |
| 15. ყირგიზ. | 4 | 3 | 7 | 14 |
| 16. ლატვია | 1 | 5 | 4 | 10 |
| 17. თურქმენ. | 1 | 3 | 3 | 7 |

## სპორტსაზოგადოებათა და ქალაქების წვლილი

**IV საკავშირო** ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში რესპუბლიკის დელეგაციის საერთო წარმატება ოთხი სპორტსაზოგადოებისა და უწყების წილად მოდის. გარკვეული წვლილი შეიტანეს აგრეთვე ქალაქებმა, ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ოლქმა.

### სპორტსაზოგადოებები და უწყებები

(პარალელური ჩათვლის გარეშე)

| | ო. | ვ. | ბ. | სულ | ქულები |
|---|---|---|---|---|---|
| საბჭოთა არმია | 6 | 7,27 | 12,72 | 25,99 | 129,24 |
| პროფკ. სპორტსაზ. | 7,58 | 5,4 | 4,56 | 17,54 | 98,31 |
| „დინამო" | 4,67 | 2,33 | 2,31 | 9,31 | 53,53 |
| სახ. განათლება, „შრ. რეზერვები" | 0,75 | 3 | 4,41 | 8.16 | 37,92 |

(პარალელური ჩათვლით)

| | ო. | ვ. | ბ. | სულ | ქულები |
|---|---|---|---|---|---|
| პროფ. სპორტს. | 10,58 | 10 | 13,03 | 33,61 | 176,21 |
| საბჭოთა არმია | 6 | 7,1 | 12,72 | 25,82 | 129,24 |
| სახ. განათლება, „შრ. რეზერვები" | 1,75 | 5 | 8,42 | 15,17 | 70,92 |
| „დინამო" | 5,67 | 2,5 | 3,47 | 11,64 | 67,53 |

### ქალაქები, რაიონები, ავტ. რესპუბლიკები და ოლქი

| | ო. | ვ. | ბ. | სულ | ქულები |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 8,75 | 9,47 | 15,39 | 33,61 | 170,14 |
| | 14,75 | 18 | 21 | 54,69 | 281,01 |
| ქუთაისი | 2,0 | — | 3,22 | 5,22 | 26,88 |
| | 2,0 | 1,0 | 3,22 | 6,22 | 31,88 |
| ფოთი | 3,0 | — | — | 3,0 | 21,0 |
| აფხაზეთი | 1,0 | 0,33 | 1,33 | 2,66 | 14,0 |
| აჭარა | 0,25 | 2,0 | — | 2,25 | 11,75 |
| გარდაბნის რ-ნი | 1,0 | — | 1,0 | 2,0 | 11,0 |
| ქარელის რ-ნი | — | 1,0 | 1,0 | 2,0 | 9,0 |
| გორი | 1,0 | — | 0,66 | 1,66 | 7,23 |
| ახმეტის რ-ნი | 1,0 | — | — | 1,0 | 7,0 |
| სამტრედიის რ-ნი | 1,0 | — | — | 1,0 | 5,0 |
| სამხრეთ ოსეთი | — | 1,0 | — | 1,0 | 5,0 |
| წყალტუბო | — | 1,0 | — | 1,0 | 5,0 |
| ლაგოდეხის რ-ნი | — | 1,0 | — | 1,0 | 5,0 |
| მცხეთის რ-ნი | — | 1,0 | — | 1,0 | 5,0 |
| საჩხერის რ-ნი | — | 1,0 | — | 1,0 | 5,0 |
| სენაკის რ-ნი | — | — | 1,0 | 1,0 | 4,0 |
| ხაშურის რ-ნი | — | — | 1,0 | 1,0 | 4,0 |
| ზესტაფონის რ-ნი | — | 0,2 | — | 0,2 | 1,0 |

**შენიშვნა.** თბილისისა და ქუთაისის გრაფების ზედა სტრიქონებში ცნობები მოცემულია პარალელური ჩათვლის გარეშე, ქვედა სტრიქონებში კი პარალელური ჩათვლით. ყველა სხვა შემთხვევაში მაჩვენებლები (პარალელური ჩათვლის გარეშე და პარელელური ჩათვლით) ერთნაირია, ამიტომ მათ აღარ ვიმეორებთ.



მოჭადრაკე ქალთა და ჭი-



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ნაცნობთან გაცნობა

# თუ გინდა გჯეროდეს, უნდა დაიჯერო!

მე — არ მჯერა!

ეტყობა, ასე ყოფილა ადამიანი მოწყობილი: არ ჯერა იმისი, რაც ვერ გაუგია.

არა, მე საერთოდ პარაფსიქოლოგია კი არა მაქვს მხედველობაში — რატომღაც სწორედ ეს, ყველა მეცნიერებიდან ყველაზე დაუჯერებელი არ იწვევს დღეს ეჭვს — არამედ მისი ზოგიერთი წარმომადგენელი. მაგალითად, არ მესმის, როგორ გადასცემს თავის სასწაულმოქმედ ენერგიას სატელევიზიო არხების საშუალებით ალან ჩუმაკი, როგორ ხდება ამ ენერგიის შენარჩუნება „ჩანაწერში“, და რანაირად „იმუხტება“ წყლიანი ქურჭელი მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

არ მესმის და, როგორც შედეგი, არ მჯერა.

თამაზ ჭეიშვილი, ახლა უკვე სახელგანთქმული ქართველი ექსტრასენსი, რომლის შესახებაც ვაპირებ გიამბოთ, ჩვენი კოლეგა გახლავთ, ჟურნალისტი, გაზეთ „ლელოს“ ყოფილი თანამშრომელი (თუმცა ახლა მასაჟისტის დიპლომიც აქვს). მითხარით, ვინმემ რომ უცბად გამოგიცხადოთ თქვენ საყვარელ, კეთილ ბებოზე, თავის დღეში ზემო მაჩხაანს რომ არ გასცილებია, ამერიკული დაზვერვის ოფიცერიაო, დაიჯერებთ?

ჰოდა, მეც უნდა ვამიგოთ, რას განვიცდი ახლა, როცა იმ კაცზე ვწერ, გუშინ რომ ჩემი კარგი ნაცნობი და ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მე და თქვენ რომ ვართ, დღეს კი განსაკუთრებული ბიოენერგია გააჩნია, უმძიმეს დაავადებებს კურნავს და ნათელმჭვრეტიც არის...

— ძალიან კარგად მესმის შენი, — მეუბნება თამაზ ჭეიშვილი. იგი თავის კაბინეტშია, ჩაცუცქულა და ორივე ხელი უცნობი ქალბატონის მუხლებზე უდევს (მას ფეხები სტკივა და თამაზი მკურნალობს), მე კი მაგიდას ვუზივარ და გულმოდგინედ ვიწერ ბლოკნოტში ყოველ სიტყვას, ყველანაირად ვცდილობ ობიექტური ვიყო, — თვითონაც არ ვიცი, როგორ ხდება ეს.

საერთოდ კი, ყოველთვის ვატყობდი ჩემს თავს, რაღაც, როგორ გითხრა აი, რაღაც აუხსნელს. ბებიასგან თუ გამომყვა — შეხედავდა ადამიანს და მაშინვე მოუყვებოდა მის წარსულსა და მომავალსაც. არ ეშლებოდა. ბაბუა მილიციაში მუშაობდა და ცოლის ეს უნარი ძალიან ადგებოდა — საფრთხის აცილებაში ეხმარებოდა. მე მთლად ასე არა ვარ. მაგალითად, ყოველთვის არ შემიძლია სხვადასხვა დროში დავინახო ადამიანი, თუმცა ხანდახან კი ვახერხებ. ბევრჯერ მინახავს — სიზმარში კი არა, ცხადში! — ისტორიული სცენები. ძალიან მიმძიმდა, ერთიანად ვკანკალებდი, ოფლად ვიღვრებოდი, და როცა ჩვენება ქრებოდა, ის კი დაახლოებით ერთ საათს გრძელდებოდა, ქანცგამოლეული ვიყავი ხოლმე, თითქოს მარათონი მერბინოს. ვნახე დიდგორის ომი, დავით აღმაშენებელი... თუმცა ასეთი შესაძლებლობები ბევრ ადამიანში ბუდობს, თავს კი მხოლოდ ძლიერი ნერვული განცდის შემდეგ იჩენს. მოულოდნელად გადმოსკდება, როგორც ვულკანი, მე 79 წელს ავარიაში მოვხვდი, ძლივს გადავრჩი...“

თამაზი იმ თანმიმდევრობით არ მიყვება თავის ექსტრასენსად გახდომის ამბავს, როგორც მოხდა. შეიძლება ქრონოლოგია აქ უადგილოდ მიაჩნია, ან შეიძლება, უბრალოდ, დაავიწყდა. მე კი მახსოვს, ხუთი-ექვსი წლის წინ ჟურნალისტებისთვის მოეწყო შეხვედრა ლუსია ჯინჭარაძესთან (მაშინ ეს შეხვედრა ლამის არალეგალური იყო) და თამაზმა გადაწყვიტა ინტერვიუ ჩამოერთმია ცნობილი ექსტრასენსისათვის. მერე თამაზი გვიყვებოდა, ნაცნობობის პირველი წუთებიდანვე ქალბატონმა ლუსიამ გამომიცხადა, შენში ძლიერ ბიოველებს ვგრძნობო. სწორედ მან პირველმა ჩააგონა, რომ შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ადამიანებს.

თამაზთან საუბარში ამ ამბის გახსენება არ დამჭირვებია, ლაპარაკი თავისთავად ჩამოვარდა ლუსია ჯინჭარაძეზე — თამაზი მას მასწავლებელს უწოდებს — და მან განაგრძო:

— მინდოდა გაზეთში დამეწერა ლუსია ჯინჭარაძის შესახებ, მაგრამ დაბეჭდვას ვერავინ ბედავდა. ინფორმაციის შეგროვების პროცესში სხვა ქალაქებში მომიხდა ყოფნა. გავიცანი პარაფსიქოლოგიის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერები. მათგან ყველაზე დიდმა მეცნიერებმა — კობზარევმა, გულიაევმა და გოდიკმა — უდიდესი გავლენა იქონიეს ჩემზე. ჯუნამაც, ვანგამაც, ჩუმაკმაც.



თამაზ ჭეიშვილი.

— თამაზ, — ვეუბნები მე, — თუ ამგვარი ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ რახან ჩუმაკი ახერხებს ტელევიზიის საშუალებით გადასცეს თავისი ბიოველი, ბეჭდვითი სიტყვის, პრესის გამოყენებაც შეიძლება. მაშასადამე, შეიძლებოდა, რომ „ლელოში“ გამოქვეყნებულ შენს სტატიებს რაღაც მაგიური ძალა ჰქონოდათ... ასეა თუ არა?

— კი, — ძალზე უბრალოდ ამბობს თამაზ ჭეიშვილი, — ასეა.

მე კი კვლავ მახსენდება, რომ შვიდიოდე წლის წინ „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა თამაზ ჭეიშვილის ინტერვიუ ავთანდილ ლომსაძესთან. და აი, ლომსაძემ, რომელსაც უმრავლესობა მაშინ უბრალო ილუზიონისტად თვლიდა, განაცხადა, რომ შეუძლია შორ მანძილზე ისეთი ზემოქმედება მოახდინოს მოწინააღმდეგის მეკარეზე, რომ ამ უკანასკნელს ბურთი ხელიდან გაუვარდეს. იქვე ნათქვამი იყო, აზრების მანძილზე გადაცემა სავსებით ხელმისაწვდომი ამბავიაო.

მერე კი ისეთი ამბავი ატყდა! ლომსაძეს შავი დღე აყარეს. თამაზსაც კარგად მოხვდა. ერთერთმა ძალზე სოლიდურმა ჟურნალმა პასუხს „ლელოში“ დაბეჭდილ პატარა წერილზე თითქმის ათი გვერდი დაუთმო. „მე ვიცი, რომ მოკითხვა შეიძლება გადაიცეს წერილით, ტელეფონით, ბოლოს და ბოლოს ნაცნობების პირით, — ნათქვამი იყო მასში, — მაგრამ მოკითხვა რომ თავისთავად გადაეცემოდეს, ეს, იცით...“

ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ თამაზი ლამის იყო გიჟად გამოაცხადეს. მაგრამ გავიდა დრო და ბევრ რამეს სხვა თვალით დავუწყეთ ყურება. განა გვიკვირს, თუ ჩვენ დილით ძველ, დავიწყებულ მეგობარს გავიხსენებთ, მერე კი იმავე დღესვე აუცილებლად ვხვდებით მას? და მაინც...

— თამაზ, — ვცდილობ კონკრეტულად ჩამოვაყალიბო კითხვა, — შეგიძლია მანძილზე იმოქმედო ვთქვათ, თბილისის „დინამოს“ მოწინააღმდეგეთა მეკარეზე ისე, რომ მან ბურთები გაუშვას?

— კი, — ძალიან უბრალოდ მპასუხობს თამაზ ჭეიშვილი, — შემიძლია.

საინტერესოა, ამ სტრიქონების მერე თუ გამომაცხადებს ვინმე გიჟად?

— ამ ზამთარს, — მიყვება თამაზი, — ჩემთან ყოფილი კალათბურთელი პაატა ქ. მოვიდა. იგი 31 წლისაა, აქტიურ სპორტს თავი რომ დაანება, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში დაიწყო მუშაობა. ავადმყოფობამ სრულიად მოულოდნელად იჩინა თავი, დაეწყო საშინელი თავის ტკივილი, საერთო სისუსტე. შემდეგ წაერთვა მარცხენა ხელი, მერე ფეხი... ორგანოებიდან დაითხოვეს და მეორე ჯგუფის ინვალიდობა მიაკუთვნეს. მოსკოვში დიაგნოზი დაუსვეს — გაზეთისთვის ალბათ არ დაგჭირდება ამ დიაგნოზის სრული დასახელება — მოკლედ, საქმე ხერხემალს ეხებოდა. პაატას ოპერაცია დაუნიშნეს.

შემდეგ უკვე თავად პაატამ გააგრძელა (იგი ახლა თამაზთან ერთად მუშაობს, საორგანიზაციო საკითხებში ეხმარება).

— ჩავეწერე საოპერაციოთა რიგში, ჩამოვედი თბილისში და ვიცდი. მერე შემთხვევით თამაზი შემხვდა და ვიფიქრე, ვკითხავ-მეთქი, თუმცა არ მჯეროდა! თამაზი კი მეუბნება — იცი, მე შენ გხედავ, ვარჯიშის დროს ზურგით გათბობის ბატარეას შეეჯახე. აი, ასე გაგორდი იატაკზე და ბატარეას შეასკდი. და შენი ხერხემალი... თამაზმა ჩემი დიაგნოზი დამისახელა, მოსკოვში ძლივს რომ დამიდგინეს! მე კი ის ძველი ტრავმა არც გამხსენებია... რა თქმა უნდა, ოპერაცია აღარ გამიკეთებია, ვიმკურნალე თამაზთან და ახლა თითქმის სრულიად ჯანმრთელი ვარ, არა გჯერა?

და პაატა ოდნავ ნაღვლიანად, ოდნავ სინანულით მიყურებს: ვერ იჯერებ, არა?

თამაზი კი ამასობაში ვიღაც ყმაწვილს ფრთხილად უჭერს თავზე ხელებს. დროდადრო ხელის მტევნებს იქნევს, თითქოს იბერტყავსო, და ისმის დამახასიათებელი ტკაცანი ელექტრული...

„1988 წლის 3 მარტს აუტანელი ტკივილებით დამეწყო გავაწელის რადიკულიტი, — წერს ჯემალ ლ., სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შთაბეჭდილებათა წიგნში, — არც ბატონ თამაზთან მკურნალობის დაწყებამდე და არც მკურნალობის პერიოდში არ მიმიღია ექიმის მიერ გამოწერილი დანიშნულებანი. სასწაულად მიმაჩნია ის, რომ მკურნალობის დაწყებამდე, როცა განძრევაც კი აუტანელ ტკივილებს იწვევდა, მკურნალობის მესამე დღეს შევძელი ოთახში სიარული, ხოლო მეექვსე დღეს — სამსახურში წასვლა.“

ძალიან მტკიოდა ფეხები, — წერს მარია ფ. ივანო-ფრანკოვსკის ოლქიდან, — სიარულიც კი მიჭირდა. ექიმებმა ვერაფრით ვერ მიშველეს. უკვე მკურნალობის პირველი კურსის შემდეგ (14 სეანსი) თავი კარგად ვიგრძენი, სიარული დავიწყე. გმადლობთ!“

ეს ჩანაწერი წიგნში ლექსო გ-მ დატოვა. „ჩემი ბიჭი 8 წლისაა. სწავლის პერიოდში შევამჩნიე, რომ მხედველობა დაუქვეითდა. ექიმის დიაგნოზი ასეთი იყო: ბავშვი 30%-ით ხედავს. გამოუწერეს სათვალე, მაგრამ სანამ სათვალეს შევუძენდით, მირჩიეს პატივცემული თამაზ ჭეიშვილისთვის მიმემართა. მკურნალობის პირველი კურსის შემდეგ ბავშვი უკვე 60%-ით ხედავს! ახლა ჩვენ ვაგრძელებთ მკურნალობას და მინდა ვუსურვო თამაზ ჭეიშვილს დიდხანს შეენარჩუნებინოს ხელების სითბო!“

და ასეთი ჩანაწერი იმდენია, კითხვით დაიღლები... წერს ცნობილი მომღერალი, როგორ განიკურნა ნევროზისგან; 42 წლის მამაკაცი წერს, როგორ გაუარა შიშმა; დიდი ხნის გათხოვილი ქალი კი გულდაგულ აღწერს როგორ ეყოლა ბოლოს და ბოლოს შვილი...

სპორტსმენებს არ დაუტოვებიათ ჩანაწერები ამ წიგნში, მაგრამ სპორტსმენიც ბევრი განკურნებულა მისი წყალობით. თამაზი ამბობს, რომ ადვილად კურნავს მათს ტრავმებს, ღია ჭრილობა სწრაფად იკრავს პირს, ეხსნებათ სტრესი.

— მე ვფიქრობ, — ყვება თამაზი (ინტერვიუ სულაც არ უშლის მას ხელს მუშაობაში), — რომ საწყისი ენერგია კოსმოსიდან მოდის. ადამიანის თავი მიმღებია, ხერხემალი — ანტენა, მარჯვენა ხელი პლუსია, მარცხენა — მინუსი. ვიღაც თუ რაღაც, — იქ, კოსმოსში, ბიოველს გზავნის აქეთ, გამტარს ირჩევს და ენერგიას უგზავნის მას. საჭიროა მხოლოდ შეგვეძლოს მისი მიღება და გადაცემა. შეიძლება, ეს ვიღაც (თუ რაღაც) დიდი ხნის მკვდარი ობიექტია. ადვილი შესაძლებელია, რომ მხატვრების, კომპოზიტორების, პოეტების აუხსნელი ნიჭი სხვისი ენერგიის სწორედ ამგვარი „გადაცემებია“. მე ვინ ამირჩია თავის გამტარად? არ ვიცი. ბევრმა კი ისიც არ იცის, რომ გამტარია. სპორტსმენები, მაგალითად, როგორც წესი, ძალზე „ენერგეტიკული“ ხალხია. აი, ჩემი უმცროსი ვაჟიშვილი სულ ხამი წლისაა, მას ჯერ არ ესმის, რომ ძლიერი ბიოველი აქვს, მაგრამ მიდის ავადმყოფ ადამიანთან და თავის პატარა ხელებს ადებს...

ამ დროს პატარა თაზო მოვიდა და ჩემს ბლოკნოტში ჩაჭყეტა დაიწყო. ქერა სიმპათიური ბიჭუნაა, სავსებით ჩვეულებრივი, ყველა დანარჩენი ბავშვისნაირი. თუმცა მამამისიც სავსებით ჩვეულებრივი გეგონება, მაგრამ...

— თამაზ, — ვეკითხები უფროს ჭეიშვილს, — ჩემზე შეგიძლია ზემოქმედება მოახდინო?

— არა! უნდა მოშვებული იყო, შენ კი, ჯერ ერთი, ახლა დაძაბული ხარ, მუშაობ, მერე შენ ჩემი არ გჯერა, ამას კი ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანი, რომელიც აქ მოდის, უკვე განკურნების გზაზე დგას, იმიტომ რომ მას სჯერა... და მერე, შენ აბსოლუტურად ჯანმრთელი ხარ, იშვიათი ჯანმრთელობა გაქვს, ძალიან დიდხანს იცოცხლებ. შენ, თუ გინდა, ნურც დამიჯერებ...

თამაზი იცინის, ის ძალიან მხიარულად და გადამდებად იცინის, და მეც მასთან ერთად ვიცინი. ანაზდად მეჩვენება, რომ ბიოველი, კოსმოსი, სხვადასხვა ჩვენებანი — ეს ყველაფერი ხუმრობაა, ორი ჟურნალისტის უწყინარი ხუმრობა, მხიარული ინტერვიუ! მაგრამ მაშინ ეს ელექტრული განმუხტვა რაღაა, თამაზი თითებიდან რომ „იბერტყავს“, ეს შთაბეჭდილებათა წიგნი რაღას ნიშნავს, მრავალი ადამიანის ხელით რომ არის შევსებული, ხალხი?

მათ სჯერათ იმიტომ, რომ ესმით, თუ ესმით, იმიტომ, რომ სწამთ?

...არ ვიცი.

**პეპი გოჩორიშვილი.**

## „არარატი“ თვითდაფინანსებაზე გადავიდა

**ერევანში** შედგა „არარატის“ საფეხბურთო კლუბის დამფუძნებელი კონფერენცია. „არარატი“ სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადავიდა, მისი ძირითადი შემოსავალია ინდივიდუალური საწევრო ანარიცხები, კლუბის სამეურნეო საქმიანობა, სუვენირებისა და სარეკლამო გამოცემათა თანხები, დამფუძნებელი ორგანიზაცია სომხეთის სსრ სახელმწიფო აგრომრეწვის შესატანი და „არარატის“ მატჩების შემოსავალი.

„არარატის“ კლუბის პრეზიდენტია კ. ფახლევანიანი, რომელიც ერთ დროს ამ გუნდის უფროსად მუშაობდა. კლუბის საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ მსხვილი სამეურნეო გაერთიანებებისა და ობიექტების წარმომადგენლები, ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელები, მათ შორის, ა. კეგეიანი, ე. მარქარიანი, ო. ზანაზანიანი, ს. ოვივიანი, ა. კოვალენკო და სხვანი.

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა ლატარია „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 34-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 19-21 აგვისტოს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 2.115.138 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (29) მოგება 1.094 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (890) — 71 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (10.414) — 21 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 16.307 ბილეთი. 13-1 (თბილისი), 12-36, 11-486.

34-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 11 სექტემბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით.

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა ლატარია „სპორტლოტოს“ 1989 წლის 34-ე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 20 აგვისტოს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** დაშვებულია 1.342.164 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (23) მოგება 2.505 მანეთია, ოთხისთვის (1.302) — 46, სამისთვის (27.939) — 3.

საქართველოში დაშვებულია 15.708 ვარიანტი: 6-0, 5-0, 4-29, 3-688.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** დაშვებულია 14.002.751 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (30) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (3.482) — 192, სამისთვის (125.464) — 9.

საქართველოში დაშვებულია 194.782 ვარიანტი: 5-2 (თბილისი), 4-96, 3-3.687.

34-ე ტირაჟისა და 25-34 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 4 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**
(ა. წერეთლის გამზირი №2)

**30 აგვისტო**

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის ჩემპიონატი

**„დინამო“** (თბილისი) — **„ჩერნომორეცი“** (ოდესა)

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 28, 29 და 30 აგვისტოს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 28 აგვისტოს. 30 აგვისტოს 17 საათიდან ბილეთები გაიყიდება ა. წერეთლის გამზირის მხრიდან.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი ჩატარდება 29 აგვისტოს, დასაწყისი 19 საათზე.

**თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის „შევარდენის“ სტადიონი**

**29 აგვისტო**

**ფეხბურთი**

II ლიგა

**„შევარდენი“** (თბილისი) — **„ნართი“** (ჩერკესკი)

დასაწყისი 18 საათზე

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შრომისა და ომის ვეტერანი, რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ცნობილი ენთუზიასტი

**შალვა ვასილის ძე ელიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 10440